საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუდრუგანა

ბუდრუგანა, 1. წნელის ან ფიცრული მცირე ნაგებობა. უმთავრესად კახეთში (ქიზიყში) სოფლიდან მოშორებით, კალოებთან აგებდნენ. იყენებდნენ საცხოვრებლად კალოობის დროს ოჯახის რამდენიმე კვირით მინდვრად გასული წევრები; ანეულის ხვნაზე – გუთნისდედა და მეხრეები, გვიან კი – საზამთროდ ჩამოსული მწყემსები. 2. საგუშაგო ჯიხური და აფიშების გასაკრავი კოშკურა.

ლიტ.: ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., მემინდვრეობა კახეთში (ეთნოგრაფიული თვალსაზრისით), «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1968, ტ. 25B; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011.

გ. ჯალაბაძე